ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 30.11.2012 სხდომის

ოქმი №7

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრთაგან 27

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013-14 სასწავლო წელს ადგილებისა და პრიოროტეტების განსაზღვრის შესახებ

მომხს: დ. ოსეფაშვილი

2. დოქტორანტურაში დამატებითი სემესტრის გადასახადის შესახებ

მომხს: დ. ოსეფაშვილი

3. ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

მომხს: ა. ბარნოვი

4. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის განხილვა-დამტკიცება

მომხს: ა. ბარნოვი

5. დეკანის არჩევნების დღის დანიშვნა
6. ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის საკონკურსო კრიტერიუმების დახვეწის შესახებ

მომხს: ი. კაჭკაჭიშვილი

7. იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ ლ. ფარცვანიას განცხადების შესახებ

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013-14 სასწავლო წელს ადგილებისა და პრიოროტეტების განსაზღვრის შესახებ ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, ი. სალუქვაძემ

დაადგინეს: გაიზარდოს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013-2014 სასწავლო წელს მისაღები კონტინგენტი 850 –მდე იმის გათვალისწინებით, რომ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან არსებობს სიტყვიერი პირობა სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის შესაბამისად დამატებითი აუდიტორიების

გამოყოფის თაობაზე. ასევე მეოთხე საგნის კვოტები დადგინდეს შემდეგნაირად: მათემატიკა – 200, გეოგრაფია და ისტორია -225-225.

მოისმინეს: 2. დოქტორანტურაში დამატებითი სემესტრის გადასახადის შესახებ
დ. ოსეფაშვილმა წარმოადგინა პროექტი, სადაც შენარჩუნებულია გადასახადი სემესტრში 250 ლარის ოდენობით

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, თ. დოლბაიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტზე დოქტორანტურის დამატებითი სემესტრის გადასახადი 250 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ბარნოვმა (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, ზ. დავითაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, ი. სალუქვაძემ, გ. გოგსაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, რომლებიც იზიარებდნენ ა. არნოვის პოზიციას და ითხოვდნენ, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვა მომხდარიყო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ფარგლებში; მ. გერსამიამ და თ. დოლბაიამ მოითხოვეს თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის წარმომადგენლების მოსვლა, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ბიუჯეტი არარეალურად გაზრდილია და ეს უახლოეს მომავალში უნივერსიტეტს ფინანსურ კრიზისში შეიყვანს.

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი გაეგზავნოს თსუ ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისთვის(პროექტის გაგზავნას ხმა მისცა 23 წევრმა, წინააღმდეგი იყო 4 – მ. გერსამია, თ. დოლბაია, რ. ჯორბენაძე, დ. ოსეფაშვილი).

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი საბჭოს გააცნო ა. ბარნოვმა.
აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ
დაადგინეს: მოღებულ იქნას დეკანის არჩევის წარმოდგენილი წესი შესწორებებით (თან ერთვის).

მოისმინეს: 5. დეკანის არჩევნების დღის დანიშვნა
აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, გ. გოგსაძემ, ა. ბარნოვმა, ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ
დაადგინეს: დაინიშნოს დეკანის არჩევნები მიმდინარე წლის 21 დეკემბერს 16-18 სთ.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ბარნოვმა დამსწრეთ ბოდიში მოუხადა, შეხვედრაზე მივდივარო და საბჭოს სხდომის თავმჯდომარეობა შესთავაზა ბატონ რევაზ ჯორბენაძეს. საბჭოს წევრთა თანხმობით რ. ჯორბენაძემ განაგრძო სხდომა.
მოისმინეს: 6. ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის საკონკურსო კრიტერიუმების დახვეწის შესახებ მომხსენებელმა ი. კაჭკაჭიშვილმა თქვა, რომ დასახვეწია აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი და

კრიტერიუმები და ითხოვა შეიქმნას სამუშაო გჯუფი ყველა მიმართულების წარმომადგენლებისგან
აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, თ. გაგოშიძემ, ნ. მაჭარაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, რ. ჯორბენაძემ
დაადგინეს: შეიქმნას მუშა ჯგუფი საკონკურსო კრიტერიუმების დასახვეწად.

მოისმინეს: 7. იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ ლ. ფარცვანიას განცხადება, რომელშიც სტუდენტ ითხოვს ფაკულტეტის საბჭოზე სისტემატიურად დასწრებას წაიკითხა რ. ჯორბენაძემ
აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, მ. გერსამიამ, ა. კუხიანიძემ
დაადგინეს: უარი ეთქვას იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ ლ. ფარცვანიას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე სისტემატიურად დასწრებაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ბარნოვი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

პროექტი

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ დაპოლიტიკურმეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

მუხლი 1. მიზანი

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ დაპოლიტიკური ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის (შემდგომში – წესი) მიზანია მოაწესრიგოს სოციალურ დაპოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) საბჭოს მიერ დეკანის არჩევის პროცედურა.

მუხლი 2. დეკანის არჩევნების ტექნიკური ორგანიზება

1. დეკანის არჩევნების დღე, აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებში, ინიშნება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

2. დეკანის არჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ,ღია კენჭისყრით, საბჭოს წევრებიდან ირჩევასაარჩევნო კომისია 3 წევრის შემადგენლობით, მათ შორის ერთი წევრი არის სტუდენტი.

3. საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო სიას, რომელშიც შედის ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი. საარჩევნო სიაში მოცემულია ფაკულტეტის საბჭოს წევრის სახელი და გვარი.

მუხლი 3. საარჩევნო ბიულეტენი

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომერის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით;

2. საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ადმინისტრაცია;

3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) დაწესებულებისა და ფაკულტეტის სახელწოდება;

ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიულეტენი განკუთვნილია ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისათვის;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი და რიგითი ნომერი ანბანის მიხედვით.

მუხლი 4. საარჩევნო ყუთი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის საარჩევნო ყუთით აღჭურვას.

2. საარჩევნო ყუთი კენჭისყრის დაწყებამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და ფაკულტეტის საბჭოს წევრები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრების მიერ, ფაკულტეტის საბჭოს წევრების თანდასწრებით.

3. საარჩევნო ყუთი განთავსებული უნდა იყოს კენჭისყრის სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 5. კენჭისყრის ორგანიზება

1. დეკანის არჩევის პროცედურა ტარდება 16:00 - დან 18:00 საათამდე.
2. კენჭისყრის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭო ირჩევს საარჩევნო კომისიის წევრებს წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

3. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო კომისიის წევრები ფაკულტეტის საბჭოს წევრების თანდასწრებით ითვლიან ცარიელ ბიულეტენებს. ბიულეტენების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრების რაოდენობას, რომელსაც ემატება ხუთი სარეზერვო ბიულეტენი. სარეზერვო ბიულეტენები გამოიყენება გამოუყენებელი ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში. ამ წესის მიზნებისათვის გამოუყენებელ ბიულეტენად მიიჩნევა ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ჩაგდებამდე.

4. ბათილად მიიჩნევა ბიულეტენი, თუ ვერ დადგინდება, რომელი კანდიდატისთვის არის ხმა მიცემული.

მუხლი 6. არჩევნების პროცედურა

1. დეკანის არჩევა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კენჭისყრა ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

2. კენჭისყრის სხდომაზე ფაკულტეტის საბჭოს წევრი საარჩევნო კომისიის წევრისაგან იღებს ერთ საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით (ბიულეტენზე უნდა იყოს საარჩევნო კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა). შემდეგ ფაკულტეტის წევრი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კუთხეში, აკეთებს არჩევანს და აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში.

3. საარჩევნო კუთხედ ჩაითვლება ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

4. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე საარჩევნო კომისის საქმიანობა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრების თანდასწრებით.

5. დეკანის არჩევნების პროცესის განმავლობაში ხორციელდება შეუზღუდავი ვიდეო გადაღება ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დაცვით, რომლის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, არჩევნებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე, მიმართავს თხოვნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 7. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისია, ფაკულტეტის საბჭოს წევრების თანდასწრებით ხსნის საარჩევნო ყუთს და ითვლის ბიულეტენების საერთო რაოდენობას. ბიულეტენების საერთო რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს ამომრჩეველთა სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრების ხელმოწერების რაოდენობას.

2. ბიულეტენების საერთო რაოდენობის დათვლის შემდეგ, საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან დეკანობის თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.

3. ხმების დათვლის შემდეგ, საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შედის შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიების მიხედვით;
ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.
4. იმ შემთხვევაში, თუ დეკანის არჩევნებში მონაწილეობს 2 ან მეტი კანდიდატი და ხმები თანაბრად გაიყოფა, კენჭისყრის დღესვე უმეტესი ხმების მქონე კანდიდატებს შორის ტარდება ხელახალი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე წესის მიხედვით ინიშნება ახალი არჩევნები.

5. დეკანის თანამდებობაზე აირჩევა კანდიდატი, რომელიც საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად დააგროვებს სხვა კანდიდატ(ებ)ზე მეტ ხმას.

მუხლი 8. დეკანის თანამდებობაზე არჩეული კანდიდატის დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭო, კენჭისყრის შედეგების გამოვლენის შემდეგ, იმავე სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას არჩეული კანდიდატის უნივერსიტეტის რექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

30 ივლისი, 2014 ج

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. ანდრო ბარნოვი

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. თამარ მახარაძე
5. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. სერგი კაპანაძე
8. ფიქრია ასანიშვილი
9. გიორგი ხელაშვილი

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

14. რევაზ ჯორბენაძე
15. გუგული მაღრაძე
16. თამარ გაგოშიძე
17. ია კუტალაძე
18. ხათუნა მარწყვიშვილი
19. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

20. მარიამ გერსამია — [illegible]
21. დალი ოსეფაშვილი [illegible]
22. მარი წერეთელი
23. მანანა შამილიშვილი
24. ნანა ტალახაძე

17.50.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

25. იოსებ სალუქვაძე
26. რევაზ გაჩეჩილაძე
27. გიორგი გოგსაძე
28. თამარ დოლბაია

სტუდენტური თვითმმართველობა

29. ლევან ჩოხელი
30. დავით მჭედლიშვილი
31. ბექა დადეშქელიანი
32. გიორგი ყიფშიძე
33. თეონა კვანჭიანი
34. გიორგი კაკაურიძე
35. ნესი კუპრეიშვილი

წარმოდგენილი პროექტის თითოეული ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით წარმოდგენილი თანხა ეფუძვნება ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და თითოეული მიმართულების გამართული მუშაობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და **ითვალისწინებს იმ შეთანხმებულ დებულებას, რომ არც დღეს და მომავალში არ შემცირდება ფაკულტეტის შემოსავლებიდან უნივერსიტეტის ცენტრალიზებული დანახარჯებისა და ე.წ. „წამგებიანი ფაკულტეტების" დაფინანსებაზე დასახარჯი ჯამური თანხა**, ფაკულტეტს მიეცემა ზრდის საშუალება და მომავალში **ფაკულტეტის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას** იმის შესახებ, თუ რა თანხის დამატება შეიძლება ცენტრალიზებული დანახარჯებისთვის გათვალისწინებულ შეთანხმებულ მინიმუმზე.

ბიუჯეტის პროექტი აგებულია იმის სრული გათვალისწინებით, რომ მიწოდებული განათლების ხარისხისა და სერვისების თვალსაზრისით, ჩვენ სტუდენტთა წინაშე ვართ პასუხისმგებელნი. ამიტომ, ყველა აქტივობა დაგეგმილია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს არსებული ხარისხის შენარჩუნებასა და ეტაპობრივ ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის მხრიდან ზემოაღნიშნულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების სურვილის შემთხვევაში, ჩვენი პრინციპული თხოვნაა, რომ ასეთი ცვლილება არ განხორციელდეს არგუმენტირებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

დანართი #1

პოლიტიკურ და სიცუალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიუჯეტი

დასახელება	2013 წლის პროექტი
სულ ხარჯები	**3,383,650.0**
შრომის ანაზღაურება	**2,602,480.0**
თანამდებობრივი სარგო	1,705,200.0
აკადემიური პერსონალი	*1,012,800.0*
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	*692,400.0*
დანამატი	897,280.0
*აკადემიური პერსონალი**	*897,280.0*
საქონელი და მომსახურება	**781,170.0**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	570,370.0
მოწვეული სპეციალისტები	*372,730.0*
უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები	*15,000.0*
დამხმარე პერსონალი (თარგმნა და web გვერდის დიზაინი)	*126,360.0*
დამხმარე პერსონალი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია)	*56,280.0*
მივლინება	59,700.0
წარმომადგენლობითი ხარჯები	68,900.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	82,200.0
სამეცნიერო ჟურნალების და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები	*4,000.0*
წიგნადი ფონდი	*11,000.0*
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	*5,000.0*
პრაქტიკის ხარჯები	*24,000.0*
სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯები	*38,200.0*

დანართი #2

პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

№	აკადემიური თანამდებობა	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში	შენიშვნა
1	სრული პროფესორი	18	1 000.0	18 000.0	
2	ასოცირებული პროფესორი	38	800.0	30 400.0	
3	ასისტენტ პროფესორი	60	600.0	36 000.0	
ჯამი		116		84 400.0	

კანცელარია
Chancellery

დანართი #3

პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

№	თანამდებობა	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში	შენიშვნა
	ფაკულტეტის ხელმძღვანელობა				
1	დეკანი	1	2,400.00	2,400.00	
2	დეკანის მოადგილე	2	2,300.00	4,600.00	
3	თანაშემწე	2	1,200.00	2,400.00	
	სულ	**5**		**9,400**	
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური				
4	სამსახურის უფროსი	1	850.00	850.00	
5	კოორდინატორი	2	980.00	1,960.00	
	სულ	**3**		**2,810**	
	ადმინისტრაციული ოფისი				
6	ადმინისტრაციული ოფისის უფროსი	1	2,250.00	2,250.00	
7	იურისტი	1	2,250.00	2,250.00	
8	ადმიანური რესურსების მართვის მენეჯერი	1	2,250.00	2,250.00	
9	საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი	1	2,250.00	2,250.00	
10	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი	1	980.00	980.00	
11	სამეცნიერო კვლევების და განვითარების კოორდინატორი	1	980.00	980.00	
12	IT სპეციალისტი	1	2,250.00	2,250.00	
13	კანცელარიის უფროსი	1	1,200.00	1,200.00	
14	საქმის მწარომებელი	1	980.00	980.00	
	სულ	**9**		**15,390**	
	აკადემიური სერვისების ოფისი				
15	აკადემიური სერვისების ოფისის უფროსი	1	2,250.00	2,250.00	
16	კოორდინატორი	14	980.00	13,720.00	
	სულ	**15**		**15,970**	
	სტუდენტური სერვისების ოფისი				
17	სტუდენტებთან ურთიერთობების მენეჯერი	1	2,250.00	2,250.00	
18	კოორდინატორი	2	980.00	1,960.00	
19	კოორდინატორი	3	980.00	2,940.00	
	სულ	**6**		**7,150**	
	ტელე-რადიო სტუდია				
20	ტელე-რადიო სტუდიის უფროსი	1	1,200.00	1,200.00	
21	დიზაინერი/დამკაბადონებელი	1	980.00	980.00	
22	ვიდეო-ოპერატორ მემონტჟე	3	800.00	2,400.00	
23	ხმის რეჟისორი	2	800.00	1,600.00	
24	მემონტაჟე	1	800.00	800.00	
	სულ	**8**		**6,980**	
	სულ	***46***		***57,700***	

დანართი #4

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბიუჯეტო მუხლების განმარტებები

გასავალი

1. **აკადემიური პერსონალის ანაზღაურება** – შედგება შრომის ანაზღაურების ორი ქვემუხლისაგან, კერძოდ, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატისაგან.

   1.1 **თანამდებობრივი სარგო** – 2012 წელს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მიმართულების საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელდა სრული პროფესორის ერთი საშტატო ერთეულის დამატება ასისტენტ-პროფესორის ორი ვაკანტური საშტატო ერთეულის ხარჯზე. აღნიშნული განხორციელდა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა და თქვენთან შეთანხმებული პირობით, რომ 2013 წელს კვლავ დაემატებოდა ორი ასისტენტ-პროფესორის საშტატო თანამდებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოების წლიური ფონდის გაანგარიშება განხორციელდა #2 დანართით წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის პროექტის მიხედვით;

   1.2 **დანამატი # 1** – აღნიშნული გაანგარიშებულია აკადემიური პერსონალის „A“ და „B“ კონტრაქტების პირობებით გათვალისწინებული დატვირთვების შესაბამისად. აგრეთვე, არსებული ვაკანსიების „A“ კონტრაქტის პირობებით დაკომპლექტების გათვალისწინებით.

   იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი „B“ კონტრაქტით დასაქმებული პროფესორი დღეისათვის აკმაყოფილებს „A“ კონტრაქტით განსაზღვრული დატვირთების მოთხოვნებს, მიზანშეწონილი და სამართლიანია, რომ არსებობდეს პროფესორებისათვის „A“ კონტრაქტის გაფორმების **შეთავაზების** შესაძლებლობა. ეს ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის ფაკულტეტზე შენარჩუნებასა და მაქსიმალურად ეფექტიანად დატვირთვას ფაკულტეტის მიზნებისათვის, რაც პირდაპირ აისახება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული ინტერესის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არსებულ ვაკანსიებზე ასევე არსებობდეს „A“ კონტრაქტის შეთავაზების შესაძლებლობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ “B”-დან “A” კონტრაქტზე გადასვლისათვის გათვალსწინებული თანხის გარკვეული ნაწილი, დიდი ალბათობით, ვერ

დაიხარჯება და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საშუალება მიეცემა, რომ საფინანსო წლის მეორე ნახევარში დარჩენილი თანხები სხვა ხარჯებზე მიმართოს.

1.3 **დანამატი # 2 *(„კვლევის ფონდი")*** – აღნიშნული მოიცავს აკადემიური პერსონალისათვის დანამატების ფონდს, რომელიც გაიცემა მინიმალური კვლევითი საქმიანობის ზევით გაწეული კვლევით საქმიანობის წახალისებისთვის.

ფაკულტეტზე სწავლების ხარისხი პირდაპირაა გადაჯაჭვული კვლევით საქმიანობასთან. დაუშვებელია, ფაკულტეტი მხარს არ უჭერდეს კვლევით საქმიანობას, მით უმეტეს მაშინ, **როდესაც ბიუჯეტი ამის საშუალებას იძლევა.** 2013 წელს, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება „კვლევის ფონდის" გათვალისწინება იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვლევითი საქმიანობის სრულყოფილი მხარდაჭერისათვის. ამის მიუხედავად, ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლებიდან გამომდინარე, გვაქვს საშუალება, რომ კვლევით საქმიანობას საწყის ეტაპზე 100 ათასი ლარით დავუჭიროთ მხარი. ამ თანხის განკარგვა მოხდება **სპეციალურად განერილი კრიტერიუმებითა და სრულიად გამჭვირვალედ.**

„კვლევის ფონდის" ფაკულტეტის ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინება აუცილებელია იმის გამოც, რომ ფაკულტეტმა უნდა იცოდეს, რა ფარგლებშია შესაძლებელი კვლევითი საქმიანობის განხორციელება. ფონდის აუთვისებლობის შემთხვევაში, მომავალ წელს ის არ გაიზრდება, რაც საკმარისი **მოტივაციაა** იმისათვის, რომ ფაკულტეტი ამ თანხების მაქსიმალურად ათვისებას შეეცადოს.

2. **ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი** – მიუხედავად ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის არაადეკვატური ანაზღაურებისა, პერსონალი ძალიან დიდ სამუშაოს ეწევა ფაკულტეტის საქმიანობის მხარდაჭერისათვის.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე განხორციელდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქცია–მოვალეობებისა და ძირითადი პროცესების შესწავლა/ანალიზი. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ფაკულტეტისათვის **სასიცოცხლოდ აუცილებელი** სტრუქტურული რგოლების შექმნასა და რეფორმირებას, რაც თავისმხრივ უკავშირდება **პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების ზრდას.** აღნიშნულ პირობებში ფაკულტეტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მომხმარებლებისათვის შეთავაზებული სერვისების ხარისხის შენარჩუნებისათვისა და ეტაპობრივი განვითარებისათვის, სტრუქტურული ცვლილებების გარდა, აუცილებელია **უფრო ადეკვატური სახელფასო პოლიტიკის გატარება,** რაც ასახულია #3 დანართით წარმოდგენილ საშტატო განრიგის პროექტში. ბიუჯეტის პროექტი შედგენილია ახალ საშტატო განრიგზე დაყრდნობით.

ფალუკტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ ~~ხარჯების~~ გაწევის შესაძლებლობას.

3. **შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება** – აღნიშნული შედგება ოთხი ქვეკომპონენტისაგან, კერძოდ, ესაა: რეზიდენტი და არარეზიდენტი მოწვეული სპეციალისტები, თარგმნისა და ვებ–გვერდის დიზაინისათვის მოწვეული დამხმარე პერსონალი და ფაკულტეტის ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალი.

3.1 **მოწვეული სპეციალისტები** – ფაკულტეტზე არსებული ანაზღაურება არაკონკურენტუნარიანია აღნიშნულ სფეროში არსებულ ბაზარზე მოქმედი ანაზღაურების პირობებში, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის კვალიფიციური კადრის დაინტერესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ კატეგორიისთვის განისაზღვოს საათობრივი ანაზღაურება დარიცხული 25 ლარის ოდენობით. პროექტით წარმოდგენილი ტარიფები მაინც ჩამორჩება სხვა მოქმედ უნივერსიტეტებში არსებულ ტარიფებს, მაგრამ თსუ-ს იმიჯის პირობებში კვალიფიციური კადრის მოზიდვის მეტ შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, წარმოდგენილი პროექტი გამორიცხავს ანალოგიური კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტებისათვის ფაკულტეტზე განსხვავებული სახელფასო ტარიფების არსებობას.

ასევე, ტარიფის სიმცირის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ჩვენ **არ ვაწესებთ** განსხვავებებს დოქტორის ხარისხის მქონე და დოქტორის ხარისხის არმქონე მასწავლებლებს შორის.

3.2 **უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები** – აღნიშნული ითვალისწინებს ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად არარეზიდენტი პირების მოსაწვევად სიმბოლურ ანაზღაურებას.

3.3 **დამხმარე პერსონალი (თარგმნა და ვებ–გვერდის დიზაინი)** – საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურის დიდი ნაწილის ქართულ ენაზე არრსებობის გამო, სტუდენტებს პრობლემები ექმნებათ სასწავლო პროცესში და ეს ყველასთვის ცნობილია. მომავალ წელს ფაკულტეტს დაგეგმილი აქვს სავალდებულო საგნების ძირითადი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა, რაც ამ მუხლით გათვალისწინებული თანხის 92% შეადგენს.

რაც შეეხება ვებ-გვერდის დიაზაინს, ჩვენ ვგეგმავთ, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ფაკულტეტის საპრეზენტაციო საშუალებები და გავხადოთ ისინი მაქსიმალურად ინტერაქტიული. ამ მიზნის ფარგლებში, ჩვენ დამატებითი დაფინანსების გარეშე ვახერხებთ მრავალი მსგავსი აქტივობის განხორციელებას, როგორებიცაა ფეისბუქის სპეციალური გვერდი, სპეციალური ბლოგი, კურსის კატალოგი (რომელიც დღემდე არ არსებობდა) და სხვა.

ამის მიუხედავად, ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდს სრულიად განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. ის უნდა შეესაბამებოდეს ფაკულტეტის იმიჯს, იყოს მაღალი ხარისხის, სამართავად და მოსახმარად მოსახერხებელი, მაქსიმალურად ინფორმაციული და ინტერაქტიული. ამის გაკეთება შეუძლებელია შესაბამისი დანახარჯების გარეშე, რაც ბიუჯეტის პროექტში 10,0 ათას ლარს მოიცავს.

ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ აუცილებელი ხარჯების გაწევის საშუალებას.

3.4 **დამხმარე პერსონალი (ადმინისტრაცია)** – აღნიშნული კატეგორია ძირითადად მოიცავს თეუსუ–ს ყოფილ თანამშრომლებს. ამასთან, შტატგარეშე მომუშავეთა შორის არიან ისეთები, რომლებიც წლების განმავლობაში ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ ფაკულტეტის მიზნებთან დაკავშირებულ მუდმივ ფუნქციებს, შესაბამისად, აღნიშნული პირები #3 დანართით წარმოდგენილი ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის პროექტში არიან გათვალისწინებულნი;

4. **მივლინებები** – აღნიშნული მუხლი მოიცავს როგორც ქვეყნის შიდა, ასევე - ქვეყნის გარეთ მივლინებებს. ქვეყის შიგნით მივლინებები ძირითადად მოიცავს აკადემიური პერსონალის სამივლინებო ხარჯებს, რომლებიც ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკის გასავლელად ხელმძღვანელობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

საზღვარგარეთ მივლინებები მოიცავს ფაკულტეტზე დასაქმებულთა 10%–ის საშუალოდ 5 დღიანი მივლინების სრულ დაფინანსებას და ძირითადად უკავშირდება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, ამ გზით საერთაშორისო აკადემიური კონტაქტების განმტკიცებას, გამოცდილების ურთიერთ-გაცვლას და ფაკულტეტის საგანმანათლებლო სტანდარტის საერთაშირისო სტანდარტებთან მიახლოებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფაკულტეტის სამომავლო განვითარებისა და ხარისხის შენარჩუნება-განვითარების თვალსაზრისით.

ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ აუცილებელი ხარჯების გაწევის საშუალებას.

5. **წარმომადგენლობითი ხარჯები** – სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით, 2013 წლისათვის დაგეგმილია რამდენიმე კონფერენციისა და საჯარო ლექციის მოწყობა. აღნიშნულის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, მუხლით გათვალისწინებული თანხის 38% შეადგენს ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებაზე ლექციების წასაკითხად **მოწვეული უცხოელი სპეციალისტების** მგზავრობის, განთავსებისა და კვების ხარჯებს; 44% გათვალისწინებულია დაგეგმილი **საერთაშორისო კონფერენციების**

მოსაწყობად, ხოლო დარჩენილი 18% – ფაკულტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სხვა დანარჩენი წარმომადგენლობითი ხარჯების დასაფარად. ყველა ხარჯი დაგეგმილია კონკრეტულად, მიმართულებების მოთხოვნის საფუძველზე და ასევე მოიცავს ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლობით დანახარჯებს წლის განმავლობაში 7,0 ათასი ლარის მოცულობით.

ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ აუცილებელი ხარჯების გაწევის საშუალებას.

6. **სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები** – საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით, მუხლით წარმოდგენილი თანხის 73% ემსახურება ფაკულტეტის მიმართულებებისათვის საჭირო **ლიტერატურის შეძენას,** ხოლო დანარჩენი 27% - სხვადასხვა **პერიოდული გამოცემის** გამოწერას.

   ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ აუცილებელი ხარჯების გაწევის საშუალებას.

7. **პრაქტიკის ხარჯები** – აღნიშნული მუხლის 71% წარმოადგენს საზოგადოებრივი გეოგრაფიის **ბაკალავრიატისა** (ზოგადგეოგრაფიული საველე–საწარმოო პრაქტიკა და რეგიონის კომპლექსურ–გეოგრაფიული კვლევის) და **მაგისტრატურის** (საველე–სასწავლო პრატიკა რეგიონალურ ტურიზმში) სტუდენტთა საველე პრაქტიკის ხარჯებს, 21% - **დოქტურანტურის** სტუდნტების მიერ ემპირიული კვლევის ჩასატარებლადაა გათვალისწინებული, ხოლო დარჩენილი 8% – ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართლების სტუდენტთა მიერ საქართველოს სახვადასხვა კუთხეში **პრაქტიკული სამუშაოს** ჩასატარებლად.

   ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ აუცილებელი ხარჯების გაწევის საშუალებას.

8. **სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი** – აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული თანხა 2012 წლის ბიუჯეტით გათვლისწინებულ თანხასთან შედარებით გაზრდილია სტუდენტთა ზრდის რაოდენობის შესაბამისად.

   ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ აუცილებელი ხარჯების გაწევის საშუალებას.

9. **სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობისა და სხვა დაფინანსების ხარჯები** – აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები 2012 წელს ფინანსდებოდა როგორც ფაკულტეტის, ასევე - სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის

გადაწყვეტილებით, აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება 2013 წლიდან სრულად უნდა განხორციელდეს ფაკულტეტისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტიდან ფაკულტეტისათვის გამოყოფილი ასიგნებებთან შედარებთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს 2013 წელს დამატებით ესაჭიროება 883,0 ათასი ლარი.

დამატებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე, გაუქმდა სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობისა და სხვა დაფინანსების სტუდენტების თვითმმართველობის ფონდი, რაც ცენტრალური ხარჯებიდან დამატებით 22,2 ათასი ლარის ოდენობით დააწვა ფაკულტეტის ხარჯებს. შესაბამისად, 2012 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში 2013 წელს ფაკულტეტს ნაცვლად 870,4 ათასი ლარისა დამატებით ესაჭიროება **860,8 ათასი ლარი.**

ფაკულტეტის გაზრდილი შემოსავლები ნამდვილად იძლევა ამ აუცილებელი ხარჯების გაწევის საშუალებას.

შემოსავალი

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ზემოაღნიშნული თანხების დაფინანსება შესაძლებელია 2013 წელს ფაკულტეტის მიერ დამატებით გამომუშავებული შემოსავლებით, კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება:

#	პ ე რ ი ო დ ი	ჩ ა რ ი ც ხ უ ლ ს ტ უ დ ე ნ ტ თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა
1	2008-09 წ ე ლ ი	352
2	2009-10 წ ე ლ ი	629
3	2010-11 წ ე ლ ი	622
4	2011-12 წ ე ლ ი	753
5	2012-13 წ ე ლ ი	885
6	2013-14 წ ე ლ ი *(პ რ ო გ ნ ო ზ ი)*	850

შენიშვნა: 2013-14 სასწავლო წლიდან ფაკულტეტი ყოველწლიურად გეგმავს ბაკალავრიატზე 850 სტუდენტის მიღებას.

შესაბამისად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2012 წლის შემოსავლების დიდი ნაწილი მიღებულია 2004 სრული წლის ღირებულების გადამხდელი სტუდენტებისა და 1237 ერთი სემესტრის ღირებულების გადამხდელი სტუდენტებისაგან, ხოლო 2013 წლის შემოსავლები დაგეგმილია 2260 სრული ღირებულების გადამხდელი და 1479 მხოლოდ ერთი სემესტრის გადამხდელი სტუდენტებისაგან.

სტუდენტთა რაოდენობის ასეთი ზრდა ბაკალავრიატიდან მიღებული შემოსავლების **1089,1 ათასი** ლარით ზრდის საშაულებას იძლევა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო გრანტის არმქონე სტუდენტთა სტატისტიკური 13% მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი სახსრებით დაფაროს სწავლის საფასური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტი ბაკალავრიატის სტუდენტებიდან 2013 წელს მოსალოდნელია მინიმუმ **664,8 ათასი** ლარით შემოსავლების მატება.

ამასთან, ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი, მაგისტრატურაზე მისაღები პირობების შემსუბუქებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების არსებობის პირობებში იგეგმება მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს ფაკულტეტს. ამჟამად ფაკულტეტზე არსებული მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით 2013 წელს

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებიდან მისაღები შემოსავალი 2012 წელს არსებულ შემოსავალს აჭარბებს **127,9 ათასი** ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფაკულტეტის 2013 წელს დაგეგმილი ღონისძიებების დასაფინანსებლად დამატებით ესაჭიროება **68,1 ათასი** ლარი, რისი დაფინანსებაც შესაძლებელია ფაკულტეტზე არსებული აკადემიური პერსონალის ვაკანსიებით დარჩენილი ეკონომიიდან. კერძოდ, ვაკანტური თანამდებობების თუნდაც **3 თვის** განმავლობაში არდაკავების შემთხვევაში, ფაკულტეტის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომია იქნება **88,8 ათასი** ლარი, რაც უკვე აჭარბებს ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისათვის დამატებით საჭირო თანხებს.

არსებული ხარჯების შენაჩუნებისა და ყოველწლიურად ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე 850 სტუდენტის სტაბილურად მიღების პირობებში მომდევნო 4 წლის გეგმა შემდეგნაირია:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	ათას ლარებში				
	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ფულის ნაშთი/დანაკლისი პერიოდის დასაწყისში	-	(90.31)	286.65	1,002.27	1,789.30
შემოსავალი ბაკალავრიატიდან	6,323.81	6,791.08	7,129.74	7,201.15	7,168.12
სხვა დანარჩენი შემოსავლები	850.75	850.75	850.75	850.75	850.75
ფაკულტეტის ხარჯი	3,383.65	3,383.65	3,383.65	3,383.65	3,383.65
ცენტრალურის მინიმალური დაფინანასება	3,881.22	3,881.22	3,881.22	3,881.22	3,881.22
ფულის ნაშთი/დანაკლისი პერიოდის ბოლოს	(90.31)	286.65	1,002.27	1,789.30	2,543.30

** ბაკალავრიატზე სტაბილურად ყოველწლიურად 850 სტუდენტის მიღება*
***მაგისტრატურა და დოქტურანტურის შემოსავლების შენარჩუნების პირობებში*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND
POLITICAL SCIENCES

№ 3774/25-00 "28" 11 2012 წ.

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ბატონ დავით ჩომახიძეს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის დაკისრებული მიზნებისა და ამოცანების ჯეროვნად შესრულებისათვის, 2013 საბიუჯეტო წელს ფაკულტეტს დასჭირდება დანართში მითითებული საქონელით და აქტივებით უზრუნველყოფა.

(დანართი 5 ფურცელზე.)

პატივისცემით,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ანდრო ბარნოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსული № 30818/02 ვვ. 6
„28" 11 2012 წ.
ხელმოწერა

კანცელარია
Chancellery

ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +995 32 290594 Tel.
ფაქსი: +995 32 290594 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge E-mail

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ.	რაოდენობა
1	**ავეჯი**			
1.1	კომპიუტერის მაგიდა		ცალი	10
1.2	სკამი აუდიტორიებისათვის		ცალი	30
1.3	ტუმბო	უჯრებით	ცალი	8
1.4	საოფისე საკარძელი		ცალი	20
1.5	სამეული	დეკანთან და საპროფესოროში	ცალი	2
1.6	წიგნების კარადა		ცალი	9
2	**კომპიუტერული ტექნიკა**			
2.1	პროექტორი	ეკრანით	ცალი	18
2.2	კომპიუტერი		ცალი	70
2.3	პლანშეტური კომპიუტერი	Apple new iPad 16 GB Black	ცალი	8
2.4	ლეფტოპი		ცალი	20
2.5	პრინტერი		ცალი	12
2.6	კომბაინი	პრინტერი, სკანერი ქსეროქსი	ცალი	8
2.7	სისტემური ბლოკი	Case	ცალი	10
2.8	მონიტორი		ცალი	10
2.9	კლავიატურა		ცალი	29
2.10	მაუსი		ცალი	36
2.11	მყარი დისკი	HDD	ცალი	60
2.12	კომპიუტერის მეხსიერება	DDR2 DIMM 240pin/ 2GB/ 800 Kingston KVR800D2N6/2G CL6	ცალი	14
2.13	UPS		ცალი	15
2.14	დისკი	CD-RW	ცალი	185
2.15	დისკი	CD	ცალი	130
2.16	დისკი	DVD - RW	ცალი	335
2.17	ფლეშ მეხსიერება	SD Memory card 8GB	ცალი	24
2.18	ფლეშ მეხსიერების ადაპტორი	SD Memory card reader	ცალი	4
2.19	USB კაბელი		ცალი	13
2.20	დინამიკები		ცალი	10
2.21	ყურსასმენი	Asus HS VULCAN-ANC BLACK ALW	ცალი	15
2.22	ყურსასმენი	მიკროფონით	ცალი	3
2.23	შტრიხ კოდის სკანერი		ცალი	4
3	**სხვა ტექნიკა და ინვენტარი**			
3.1	ტელევიზორი	თხევადკრისტალური	ცალი	4
3.2	მაცივარი	პატარა	ცალი	3
3.3	ასლგადამღები	დიდი	ცალი	6
3.4	ფოტოაპარატი	Nikon / D3200 18-55 VR KIT, Red / 24.2Mpx, 3" , 5.8x, USB 2.0, Li-Ion	ცალი	5
3.5	ვიდეოკასეტა	mini DV60	ცალი	100
3.6	ვიდეოკასეტა	HDV Dvcam - მრავალჯერადი გამოყენების	ცალი	120
3.7	დისტანციური მიკროფონი	EW 100 ENG G3 Wireless Microphone Combo System (A/516 - 558 MHz)	კომპლექტი	4
3.8	მიმართული მიკროფონის კომპლექტი	Sennheiser MKE-600 Shotgun Microphone Complete HDSLR Kit	ცალი	2

კანცელარია
Chancellery

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ.	რაოდენობა
3.9	დისტანციური მიკროფონის ბატარეა-აკუმულატორი და დამტენი	Pearstone AA-NM2600 Rechargeable Batteries (4 pack)/charger	ცალი	4
3.10	მობილური აუდიო-ვიდეო ჩანაწერებისა და ფოტოგადაღებებისათვის	8 MP, 3264x2448 pixels, autofocus, LED flash, Memoruy 32GB (26 GB user-available) storage, 1 GB RAM	ცალი	10
3.11	ელ-მადუღარა		ცალი	5
3.12	სკანერი		ცალი	7
3.13	ფაქსი		ცალი	5
3.14	რადიო ტელეფონი		ცალი	5
3.15	ტელეფონის აპარატი		ცალი	25
3.16	დიქტოფონი		ცალი	10
3.17	დიქტოფონი	ციფრული	ცალი	20
3.18	აიპადი		ცალი	5
3.19	ქსელის მოწყობილობა	INTEGNAL	ცალი	2
4	**საკანცელარიო საქონელი**			
4.1	თაბახის ფურცლები	A4 ფორმატი	ყუთი	210
4.2	თაბახის ფურცლები	A3 ფორმატი	ყუთი	50
4.3	ორმაგი ფურცელი	დიდი ცხრილებისათვის	შეკვრა	20
4.4	ფერადი ქაღალდები		შეკვრა	11
4.5	ბლოკნოტი	დიდი	ცალი	60
4.6	ბლოკნოტი	პატარა	ცალი	60
4.7	ბაინდერი		ცალი	125
4.8	საქაღალდე	საკეტით	ცალი	50
4.9	საქაღალდე	რეზინის ზონარით	ცალი	20
4.10	საქაღალდე	გამჭვირვალე კუთხოვანა	ცალი	20
4.11	სწრაფჩამკერი		ცალი	45
4.12	კალამი	ლურჯი	ცალი	180
4.13	კალამი	შავი	ცალი	40
4.14	კალამი	წითელი	ცალი	45
4.15	ფანქარი	უბრალო ფანქარი	ცალი	95
4.16	ფანქარი	კორექტორის	ცალი	12
4.17	მარკერი	დაფის	ცალი	35
4.18	მარკერი	სხვადასხვა ფერი	კოლოფი	73
4.19	ტექსტმარკერი	სხვადასხვა ფერი	ცალი	50
4.20	კორექტორი	შტრიხი	ცალი	56
4.21	ჭიკარტი		კოლოფი	51
4.22	ფაილები	გამჭვირვალე	შეკვრა	46
4.23	საკანცელარიო თარო	ნავები (თეფშები)	ცალი	60
4.24	წებო	მშრალი	ცალი	56
4.25	სტეპლერის ტყვიები	დიდი	შეკვრა	43
4.26	სტეპლერის ტყვიები	პატარა	შეკვრა	41
4.27	სტეპლერის ტყვიები	N10	შეკვრა	2
4.28	სტეპლერი	დიდი	ცალი	45
4.29	სტეპლერი	პატარა	ცალი	48
4.30	ორგანაიზერი	დიდი	ცალი	56
4.31	წებოვანი ლენტ (სკოჩი)	პატარა	ცალი	45
4.32	წებოვანი ლენტ (სკოჩი)	დიდი	ცალი	27

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
SAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
კანცელარია
Chancellery

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ.	რაოდენობა
4.33	საკანცელარიო ურნა		ცალი	34
4.34	დაფა	ბორდმარკერი	ცალი	8
4.35	დაფა	საინფორმაციაო	ცალი	1
4.36	ფლიპჩარტის დაფა		ცალი	6
4.37	ფლიპჩარტის დაფა	წებოვანი	ცალი	5
4.38	ქაღალდი	ფლიპჩარტის დაფა	ცალი	10
4.39	კალენდარი	მაგიდის	ცალი	10
4.40	კალენდარი	კედლის	ცალი	10
4.41	თითის დასასველებელი ღრუბელი		ცალი	30
4.42	საშლელი		ცალი	20
4.43	ქაღალდის სამაგრი კლიფსები	დიდი	კოლოფი	20
4.44	ქაღალდის სამაგრი კლიფსები	პატარა	კოლოფი	20
4.45	სახაზავი	დიდი ლიტონის	ცალი	20
4.46	სახაზავი	პატარა	ცალი	30
4.47	ჩასანიშნი ფურცლები	ფერადი	ცალი	55
4.48	ჩასანიშნი ფურცლები	წებოვანი	ცალი	40
4.49	სათლელი	რკინის	ცალი	30
4.50	სკრეპი		კოლოფი	20
4.51	საკანცელარიო დანა		ცალი	20
4.52	კალკულატორი	დიდი	ცალი	40
4.53	ცარცი სასკოლო	100 ცალიანი	კოლოფი	10
4.54	ანტისტეპლერი		ცალი	20
4.55	დირაკოლი		ცალი	20
4.56	მაკრატელი		ცალი	30
4.57	საკანცელარიო წიგნი/ჟურნალი		ცალი	30
4.58	ფლომასტერი	სხვადასხვა ფერი	ცალი	30
4.59	ქაღალდის გამანადგურებელი		ცალი	3
4.60	დაფის საწმენდი	მარკერის დაფისთვის	ცალი	364
4.61	დაფის საწმენდი ღრუბელი	ხის დაფისთვის	ცალი	360
4.62	დაფის საწმენდი	სითხე 250მლ	ცალი	10
4.63	მაგნიტი	დაფის	შეკვრა	10
5	**კარტრიჯები**			
5.1	კარტიჯების დატენვა		ცალი	130
5.2	HP llazerjet 1022 პრინტერის	12A	ცალი	10
5.3	HP lazerjet 1022 და HP lazerjet 1020 პრინტერის	12AQ2612A	ცალი	13
5.4	HP llazerjet 1010 პრინტერის	Q2612	ცალი	11
5.5	HP lazerjet p 1505n პრინტერის	CB436A/36A	ცალი	7
5.6	HP lazerjet p 1505n პრინტერის	36A	ცალი	7
5.7	HP lazerjet 1200 პრინტერის	C7115A CE	ცალი	13
5.8	HP lazerjet 1005 პრინტერის	CB35A/35A	ცალი	10
5.9	HP lazerjet 1320 n და HP lazerjet 1160 პრინტერის	49A	ცალი	7
5.10	SAMSUNG პრინტერის	ML-1615	ცალი	5
5.11	LAZERJET 6 MP პრინტერის	4H26v2 f4082610	ცალი	5
5.12	HP lazerjet 1212 nf MFP პრინტერის	85A	ცალი	11
5.13	HP lazerjet P1102 პრინტერის		ცალი	4
5.14	Canon 41 C color - 40B პრინტერის		ცალი	2

კანცელარია
Chancellery

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ.	რაოდენობა
5.15	Canon LaserBzse პრინტერის	MF3110	ცალი	10
5.16	Canon-LBP-810 პრინტერის	EP-22	ცალი	10
5.17	Canon პრინტერის	EP-27	ცალი	10
6	**სამეურნეო საქონელი**			
6.1	დამაგრძელებელი	10-15 მეტრიანი	ცალი	50
6.2	ოპლეს ნათურა		ცალი	90
6.3	ოპლეს სანათი		ცალი	90
6.4	ნათურა		ცალი	320
6.5	სამეურნეო იარაღის კომპლექტი	ჩაქუჩი, პლოსკო და მსგავსი	კომპლექტი	3
6.6	ფანარი	ხელის	ცალი	5
6.7	ჭერის ჩამოსაწმენდი დიდი ჯოხი	2.5 მეტრიანი	ცალი	6
6.8	ელემენტები	საათის	ცალი	30
6.9	ელემენტები	აა	ცალი	30
6.10	დისპენსერი	თეხევადი საპნის	ცალი	36
6.11	დისპენსერი	ტუალეტის ქაღალდი	ცალი	48
6.12	ცოცხი აქანდაზით		ცალი	360
6.13	ცოცხი	ჩვეულებრივი	ცალი	360
6.14	რეზინის ხელთათმანები	ზომების მიხედვით	ცალი	432
6.15	აეროზოლი		ცალი	30
6.16	სარკე	კედლის	ცალი	9
6.17	საკიდი		ცალი	18
6.18	სანათი	მაგიდის	ცალი	7
6.19	ჭურჭელი	დეკანის მისაღებისვის	კომპლექტი	3
6.20	საათი	კედლის	ცალი	20
6.21	გამარაწილებელი		ცალი	20
6.22	ფარდა ჟალუზები		ცალი	4
6.23	ვინტილატორი		ცალი	2
7	**რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარული საგნები**			
7.1	საპონი	თხევადი	ლიტრი	1080
7.2	ტუალეტის ქაღალდი		ცალი	6120
[illegible]	ხელსახოცი ქაღალდი		შეკვრა	1800
7.4	წყლის ვედრო პლასმასის	20 ლიტრიანი	ცალი	6
7.5	პლასმასის ვედრო	ჩვეულებრივი	ცალი	24
7.6	ღრუბელი	ონკანის სახეხი	ცალი	216
7.7	ჩოთქი	ონკანის სახეხი	ცალი	216
7.8	ჩოთქი	ფანჯრის საწმენდი	ცალი	288
7.9	სითხე	ფანჯრის საწმენდი	ლიტრი	216
7.10	სითხე	ავეჯის საწმენდი	ლიტრი	360
7.11	სითხე	კომპიუტერის საწმენდი	ცალი	36
7.12	სითხე	ტუალეტის საწმენდი (მისტერ მუსკული)	ცალი	360
7.13	ნიჟარის სახეხი ფხვნილი	რაქშა	ცალი	360
7.14	ნიჟარის სახეხი სითხე	უტკა	ცალი	360
7.15	სითხე	იატაკის საქმენდი	ლიტრი	360
7.16	სითხე	მეტლახის და კაფელის საწმენდი	ცალი	360
7.17	ტილო	მაგიდის	ცალი	432
7.18	იატაკის ტილო	"ფიბროვი"	ცალი	432

კანცელარია
Chancellery

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ.	რაოდენობა
7.19	იატაკის ტილო	ჩვეულებრივი	ცალი	432
7.20	უნიტაზის ჩოთქები		ცალი	360
8	ბეჭდვა			
8.1	ჟურნალის ბეჭდვა	ბაკალავრიატი და მაგისტრატურა	ცალი	8
8.2	გაზეთის ბეჭდვა	ბაკალავრიატი და მაგისტრატურა	ცალი	9
8.3	პროგრამის საცნობარო და სარეკლამო ლიფლეტები		ცალი	1
9	პროგრამები			
9.1	E-prime, PsychMate	ლიცენზიით	თვე	120
9.2	SPSS	ლიცენზია	თვე	36
10	ლიტერატურა			
10.1	ფსიქოლოგების თანამედროვე ლიტერატურა		კომპლექტი	1
10.2	წიგნადი ფონდი გეოგრაფებისათვის		ცალი	1
10.3	გაზეთები	გამოწერა	თვე	12
10.4	ჟურნალები	გამოწერა	თვე	12
10.5	წიგნები	გამოწერა	ცალი	1
10.6	წიგნები	the ascent of Media, from Golgamesh to Google via Gutenberg	ცალი	1
10.7	წიგნები	Setting the Agenda: The Mass Media and Public Opinion	ცალი	1
10.8	წიგნები	This is PR the realities of Public relations	ცალი	1
10.9	წიგნები	Power Performance, Multimedia Storytteling for Journalism and Publis relations	ცალი	1
10.10	წიგნები	Conmpleting your Qualitative Dissrtation, A Roadmap from Beginning to Enf	ცალი	1
10.11	წიგნები	News Reporting and Writing, 12th edition	ცალი	1
10.12	წიგნები	Political Anthropology: Power And Paradigms	ცალი	1
10.13	წიგნები	Political Ideologies: Their Origins and Impact	ცალი	1
10.14	წიგნები	Political Anthropology	ცალი	1
10.15	წიგნები	Political Anthropology: An Introduction	ცალი	1
10.16	წიგნები	The Anthropology of Politics: A Reader in Ethnography, Theory, and Critique	ცალი	1
10.17	წიგნები	სამეცნიერო ლიტერატურა	ცალი	1
10.18	წიგნები	Organization theory and design by Richard L. Daft	ცალი	1
10.19	წიგნები	Handbook of organization development by Tomas Gerald Cummings	ცალი	1
10.20	წიგნები	Organization behaviour by Steven McShane and Mary Von Glinow	ცალი	1
10.21	წიგნები	The oxford Handbook of organization phychology, Two-volume set by Steve W.J. Kozlowski	ცალი	1
10.22	წიგნები	Advertising theory by Shelly Rodgers and Esther Thorson	ცალი	1

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
კანცელარია
Chancellery